

სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ში კლიენტების საბანკო ანგარიშების გახსნის, მათი გადაფორმებისა და დახურვის შესახებ ინსტრუქციის დანართი №1

Приложение №1 к Инструкции на открытие, переоформление и закрытие банковских счетов клиентов в АО «Халык Банк Грузия»

ფიზიკური პირების გენერალური ხელშეკრულება საბანკო მომსახურების გაწევის შესახებ

Генеральный договор о предоставлении банковских услуг физическим лицам

(ზოგადი პირობები)

(Общие условия)

მუხლი 1. საგანი

Статья 1. Предмет

1.1. გენერალური ხელშეკრულების საბანკო მომსახურების გაწევის შესახებ (შემდგომში „გენერალური ხელშეკრულება“), და დაკავშირებული გარიგებების საფუძველზე ბანკი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს კლიენტს, მის მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, რეალურ და დისტანციურ რეჟიმში ამავე გენერალური ხელშეკრულებითა და დაკავშირებული გარიგებებით გათვალისწინებული წესითა და პირობით საბანკო მომსახურება, რომელსაც წარმოადგენს:

1.1. На основании Генерального договора о предоставлении банковских услуг (далее – «Генеральный договор») в том числе связанных с ним сделок, Банк берет обязательство оказать клиенту, на основании представленной им заявки, следующие банковские услуги в реальном и дистанционном режиме, в порядке и на условиях, предусмотренных этим же Генеральным договором и связанными с ним сделками:

1.1.1. საბანკო ანგარიშის გახსნა და ანგარიშის მეშვეობით ოპერაციების წარმოება;

1.1.1. Открытие банковского счета и ведение операций по счету;

1.1.2. დისტანციური საბანკო მომსახურება;

1.1.2. Дистанционное банковское обслуживание;

1.1.3. სადეპოზიტო / საანაზრდო მომსახურება;

1.1.3. обслуживание депозитов/вкладов;

1.1.4. საკრედიტო მომსახურება;

1.1.4. кредитные услуги;

1.1.5. საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურება;

1.1.5. оказание услуг с использованием платежных инструментов.

1.2. გენერალური ხელშეკრულებით, და მათ შორის დაკავშირებული გარიგებებით, გათვალისწინებული საბანკო მომსახურების სანაცვლოდ კლიენტი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ბანკს საზღაური (საკომისიო და სხვა) ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნებულია ბანკის ვებ-გვერდზე www.halykbank.ge.

1.2. Клиент взамен на получение банковских услуг, предусмотренных Генеральным договором, в том числе связанными с ним сделками, берет обязательство выплатить Банку вознаграждение (комиссию и пр.) в соответствии с установленными Банком тарифами, опубликованными на веб-странице Банка: www.halykbank.ge.

1.3. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ კანონის თანახმად ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, დაზღვეულია ბანკში და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 30,000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე:

1.3. согласно закону «О системе страхования депозитов» сумма на депозитах/счетах физического лица, несмотря на количество депозитов/счетов, застраховано в Банке и агентством страхования депозитов будет возмещено в пределах 30,000 тысячи лари, а остальная сумма будет возмещена в порядке, предусмотренном действующим законодательством. Дополнительную информацию см. на Веб-странице Агентства страхования депозитов: www.diagency.ge

ტერმინთა განმარტება

თუ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელშეკრულებაში ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებაში ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- **საბანკო ანგარიში (შემდგომში ანგარიში)** – ბანკში პირის ფულადი სახსრების აღრიცხვის უნიკალური საშუალება.
- **პირი** – როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირი, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი (არარეგისტრირებული კავშირი, ამხანაგობა, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა).
- **კლიენტი** – პირი, რომელსაც გახსნილი აქვს ან სურს გახსნას ანგარიში ბანკში.
- **განაცხადი** – ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით შექმნილი და კლიენტის მიერ მატერიალურად ან/და ელექტრონულად წარმოდგენილი ან/და დადასტურებული დოკუმენტი/ინფორმაცია რაც ადასტურებს კლიენტის ნებას შესაბამისი მომსახურების/პროდუქტის მისაღებად და ითვლება კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების / ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.
- **ტარიფები** – საბანკო მომსახურებაზე საკომისიო სარგებლის ტარიფები, რომელიც განსაზღვრულია ბანკის უფლებამოსილი ორგანოს მიერ და მოქმედებს საბანკო ოპერაციის განხორციელების/მომსახურების მიღების თარიღისათვის.
- **ინტერნეტ ბანკის სისტემა** – ბანკის მომსახურების სისტემა, რომელიც კლიენტს საშუალებას აძლევს, დისტანციურად ინტერნეტის ქსელის მეშვეობით ელექტრონული დოკუმენტების კლიენტსა და ბანკს შორის გაცვლით, მართოს თავისი საბანკო ანგარიშები 24 საათის განმავლობაში ბანკის ინტერნეტ-გვერდის www.myhalyk.ge ან/და მობაილ ბანკის აპლიკაციის გამოყენებით.
- **დისტანციური მომსახურება** – გულისხმობს საბანკო მომსახურებას, რომელსაც ბანკი გაუწევს კლიენტს შემდეგი საბანკო პროდუქტების ფარგლებში: ა) ინტერნეტ/მობაილ ბანკი, ბ) სატელეფონო

Определение терминов

Если иное не определено в Договоре и/или иным связанным с ним договором или если иное не вытекает из его контекста, изложенные ниже термины в Договоре и/или ином связанном с ним договоре, имеют следующие значения:

- **Банковский счет (далее – счет)** – уникальное средство учета денежных средств физического лица в банке.
- **Лицо** – физические и юридические лица, являющиеся как резидентами, так и нерезидентами, а также предусмотренные законодательством организационные образования, не являющиеся юридическими лицами (незарегистрированный союз, товарищество, товарищество собственников жилья).
- **клиент** — лицо, имеющее или желающее открыть счет в банке.
- **Заявление** – созданный по установленной Банком форме документ/информация, и/или представленный и/или подтвержденный клиентом на физическом носителе и/или в электронном виде, подтверждающая волеизъявление клиента на получение соответствующей услуги/продукта и считается имеющим ту же юридическую силу, что и заявление клиента о согласии/волеизъявлении на материальном документе.
- **Тарифы** – тарифы комиссионного вознаграждения за банковские услуги, устанавливаемые уполномоченным органом Банка и действующие на дату совершения банковской операции/получения банковской услуги.
- **Система интернет-банка** – система банковского обслуживания, позволяющая клиенту управлять своими банковскими счетами дистанционно, путем обмена электронными документами между клиентом и банком через сеть Интернет круглосуточно, используя веб-страница Банка www.myhalyk.ge и/или приложение мобильного банкинга,.
- **Дистанционное обслуживание** – банковские услуги, которые Банк предоставляет клиенту в рамках следующих банковских продуктов: а) интернет-банк/мобильный бантинг, б)

მომსახურება;

- **სატელეფონო მომსახურება** - გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად, ბანკის კონტაქტ-ცენტრის მეშვეობით, ბანკში არსებული ინფორმაციის/მომსახურების მიღებას.
- **SMS კოდი** - შემთხვევითი წესით დაგენერირებული ციფრების კომბინაცია, რომელიც გამოიყენება დისტანციური საბანკო მომსახურების გაწევისას ოპერაციების შესასრულებლად. კოდი უნიკალურია და მოქმედია ერთჯერადი გამოყენებისთვის.
- **ვებ-გვერდი** - ინტერნეტ გვერდი, რომელსაც ფლობს ბანკი.
- **იდენტიფიკაცია** - პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების მოპოვება, რომლებიც ამ პირის მოკვლევისა და სხვა პირისგან გამორჩევის საშუალებას იძლევა;
- **ვერიფიკაცია** - პირის შესახებ ინფორმაციის (დოკუმენტის) მოპოვება, რომელიც ამავე პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების სიზუსტის გადამოწმების საშუალებას იძლევა (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზის საშუალებით);
- **ელექტრონული მონაცემთა ბაზა** -სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-ს მონაცემთა ბაზა, რომლის მეშვეობითაც ხდება პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების სიზუსტის გადამოწმება;
- **საგადახდო ინსტრუმენტი** - სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს მიერ ემიტირებული საგადახდო ბარათი, საგადახდო საშუალება, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის ანგარიშთან.

телефонное обслуживание;

- **Телефонное обслуживание** - получение клиентом информации/услуг, доступных в Банке, через контактный центр Банка без его посещения.
- **SMS-код** - случайно сгенерированная комбинация цифр, которая используется для совершения операций при предоставлении услуг дистанционного банковского обслуживания. Код уникален и действителен для одноразового использования.
- **Веб-страница** - интернет-страница, принадлежащая Банку.
- **Идентификация** - получение идентификационных данных о человеке, позволяющих отслеживать его и отличать от других людей;
- **Верификация** - добыча информации (документа) о лице, позволяющей проверить достоверность идентификационных данных этого же лица (через электронную базу данных Агентства развития государственных сервисов);
- **Электронная база данных** - база данных ЮЛПП «Агентство развития государственных сервисов», с помощью которой проверяется достоверность идентификационных данных лица;
- **Платежный инструмент** - платежная карта, выпущенная АО «Халык Банк Грузия», платежное средство, привязанное к счету клиента.

მუხლი 2. საბანკო მომსახურების მიღება

2.1. გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურების (შემდგომში „საბანკო მომსახურება“) კლიენტის მიერ მიღება წარმოებს ბანკისათვის შესაბამისი განაცხადის (შემდგომში „განაცხადი“) წარდგენის საფუძველზე.

2.2. საბანკო მომსახურების მიღების თაობაზე კლიენტის განაცხადი ბანკს წარედგინება წერილობითი ფორმით, ხოლო ბანკის ელექტრონულ-პროგრამულ სისტემაში ინტერნეტ-ბანკის სისტემით მომსახურების მიღების მიზნით კლიენტის ავტორიზების შემთხვევაში კლიენტის განაცხადი საბანკო მომსახურების მიღებაზე ბანკს შეიძლება წარედგინოს ასევე ელექტრონული ფორმით, რაც განიხილება კლიენტის ნების გამოვლენად და რაც სამართლებრივი თვალსაზრისით სრულად უთანაბრდება წერილობით

Статья 2. Получение банковских услуг

2.1. Получение клиентом банковских услуг, предусмотренных Генеральным договором (далее – «банковские услуги»), осуществляется на основании предоставления в Банк соответствующей заявки (далее – «заявка»).

2.2. Заявка клиента на получение банковских услуг предоставляется в Банк в письменной форме, а в случае авторизации клиента в электронной программной системе Банка с целью получения услуг Интернет-банка, заявка клиента на получение банковских услуг может быть предоставлена также и в электронной форме, что рассматривается как волеизъявление клиента, и с правовой точки зрения полностью приравнивается к письменной форме.

ფორმას.

2.3. კლიენტის განაცხადით მოთხოვილ საბანკო მომსახურების გაწევას ბანკი უზრუნველყოფს განაცხადის აქცეპტისა და მოთხოვილი საბანკო მომსახურებისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობის კლიენტის მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში.

2.4. შემდგომში ყოველგვარი გაურკვევლობისა და ბუნდოვანების გამოსარიცხად ბანკი უფლებამოსილია, მის ვებ-გვერდზე (www.halykbank.ge) გამოქვეყნებით დამოუკიდებლად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად დამატებით დაადგინოს (მათ შორის შეცვალოს არსებული) საბანკო მომსახურების მიღების თაობაზე კლიენტის განაცხადის აქცეპტირების პირობები და მოთხოვნები, ამ განცხადების განხილვის ვადა და პროცედურა, განცხადების ფორმა და შინაარსი, განაცხადის წარმოდგენის წესი, განაცხადის განხილვის ფორმა, განაცხადის დაკმაყოფილების ტექნიკური აღწერილობა და სხვა პირობები, რომლის შესაბამისადაც ბანკი განიხილავს კლიენტის განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დაკმაყოფილების ან/და უარის თქმის შესახებ.

2.5. ბანკის მიერ კლიენტის განაცხადის აქცეპტირების (დაკმაყოფილების) შემთხვევაში კლიენტს გაეწევა მის მიერ განაცხადით მოთხოვილი საბანკო მომსახურება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული გარიგებებითა და ბანკის მიერ გამოქვეყნებული ტარიფების შესაბამისად.

2.6. კლიენტი აცნობიერებს, რომ საბანკო მომსახურების მიღების თაობაზე განაცხადი წარმოდგენს უკანგამოუთხოვად სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ის ამყარებს ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობას გენერალური ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული გარიგებებითა და ბანკის მიერ გამოქვეყნებული ტარიფების პირობების შესაბამისად, ბანკის მიერ განაცხადის აქცეპტირების შემთხვევაში, და რის შედეგადაც კლიენტს წარმოეშევა შესაბამისი უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის ფინანსური ვალდებულება.

2.7. შემდგომში ყოველგვარი ბუნდოვანებისა და ორაზროვნების გამოსარიცხად, ბანკი უფლებამოსილია განსაზღვრული ვადითა ან/და ვადის დაწესების გარეშე განუსაზღვრელი პერიოდით, მიზეზების გაცხადებისა და დასაბუთების გარეშე შეაჩეროს კლიენტის განაცხადების მიღება / განხილვა წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით, დამატებითი გარიგებებითა და ბანკის მიერ გამოქვეყნებული ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებული რომელიმე საბანკო მომსახურების გაწევაზე.

2.8. კლიენტის განაცხადის წარმოდგენის, განხილვისა და მასთან დაკავშირებული პირობების

2.3. Банк оказывает затребованные в заявке клиентом банковские услуги, в случае удовлетворения клиентом всех предпосылок, необходимых для акцепта заявки и затребованных банковских услуг.

2.4. Для исключения каких-либо неясностей и непонятностей в дальнейшем, Банк вправе, посредством публикации на своей веб-странице (www.halykbank.ge), независимо и вместе с требованиями, предусмотренными законодательством Грузии, дополнительно установить (в том числе изменить существующие) условия и требования акцептирования заявки клиента на получение банковских услуг, срок и процедуру рассмотрения этой заявки, форму и содержание заявки, порядок представления заявки, форму рассмотрения заявки, техническое описание удовлетворения заявки и прочие условия, соответственно которым Банк рассматривает заявку клиента и принимает решение об удовлетворении и/или отказе в удовлетворении заявки.

2.5. В случае акцепта (удовлетворения) заявки клиента со стороны Банка, клиенту будут предоставлены затребованные им в заявке банковские услуги в соответствии с настоящим Генеральным договором, связанными с ним сделками и опубликованными Банком тарифами.

2.6. Клиент осознает, что заявка на получение банковских услуг является безотзывным правовым инструментом, посредством которого он устанавливает с Банком договорные отношения в соответствии с настоящим Генеральным договором, связанными с ним сделками и опубликованными Банком тарифными условиями, в случае акцепта заявки со стороны Банка, и в результате чего у клиента возникают соответствующие права и обязательства, в том числе финансовые обязательства.

2.7. Для исключения каких-либо неясностей и непонятностей в дальнейшем, Банк вправе, установить на определенный срок и/или без установления этого срока, без объявления и обоснования причин, приостановить прием/рассмотрение заявок клиента в соответствии с настоящим Генеральным договором, связанными с ним сделками и опубликованными Банком тарифами, предусмотренными на оказание каких-либо банковских услуг.

2.8. Банк обеспечивает клиенту доступ к представлению, рассмотрению заявки клиента и

კლიენტისათვის ხელმისაწვდომობას ბანკი უზრუნველყოფს მის ფილიალებსა და ვებ-გვერდზე (www.halykbank.ge) გამოქვეყნებით. ამასთან, ვებ-გვერდის ცვლილების შემთხვევაში, ამ და სხვა ინფორმაციის გამოქვეყნება იწარმოებს ახალ ვებ-გვერდზე, რომლის თაობაზე კლიენტს ეცნობება ბანკში დაფიქსირებული კომუნიკაციის ერთ-ერთი ან/და ყველა საშუალების გამოყენებით, ბანკის შეხედულებით.

2.9. ბანკი არ არის შეზღუდული კლიენტის განცხადების მიღებამდე, აქცეპტამდე და აქცეპტის შემდგომ ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირობა/ წესი, მათ შორის მიიღოს გადაწყვეტილება მომსახურების მოდიფიცირებაზე, გაზრდაზე, შემცირებაზე, ამოღებასა და სხვა მომსახურების დამატებაზე.

თავი 2. საბანკო ანგარიშის გახსნა და საბანკო ანგარიშის მეშვეობით საგადახდო და არასაგადახდო ოპერაციების წარმოება

მუხლი 3. საბანკო ანგარიშის გახსნა

3.1. კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკი უხსნის კლიენტს საბანკო ანგარიშს (შემდგომში ანგარიში), ახორციელებს ოპერაციებს კლიენტის ანგარიშზე და უწევს საბანკო მომსახურებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შიდა ნორმატიული დოკუმენტების (მათ შორის პლასტიკური ბარათებით/საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურების შესახებ ბანკში დადგენილი წესების და პირობების და და სხვა შიდა დოკუმენტების), ბანკის ტარიფების, წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების შესაბამისად.

3.2. ანგარიშის გახსნისას კლიენტმა ბანკში უნდა წარადგინოს დოკუმენტები, რომელთა ჩამონათვალიც განსაზღვრულია საქართველოს უფლებამოსილი ორგანოებისა და ბანკის შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით.

3.3. ანგარიშის გახსნის შესახებ ინფორმაცია კლიენტს მიეწოდება ბანკის მიერ დადგენილი ფორმით, მათ შორის ინტერნეტ-ბანკის სისტემის მეშვეობით, ამ უკანასკნელი მომსახურებით კლიენტის მიერ ბანკისაგან სარგებლობის შემთხვევაში.

3.4. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში საბანკო ანგარიში კლიენტს შეიძლება გაეხსნას, ბანკისათვის ელექტრონულ ფორმაში განცხადების წარდგენისა და ამ განცხადების

связанным с заявкой условиям посредством опубликования в своих филиалах и на веб-странице (www.halykbank.ge). При этом в случае изменения веб-страницы, опубликование той или иной информации осуществляется на другой новой веб-странице, о которой клиенту сообщается посредством использования одного и/или всех зафиксированных в Банке средств коммуникации, по усмотрению Банка.

2.9. Банк вправе до приема заявки клиента, ее акцепта и после ее акцепта, в любое время изменить условия/порядок оказания банковских услуг, предусмотренных настоящим Генеральным договором, а также связанные с этим любые условия/порядок, в том числе принять решение о модификации, увеличении, уменьшении количества услуг и их аннулировании, и добавлении других услуг.

Глава 2. Открытие банковского счета и ведение платежных и неплатежных операций посредством банковского счета

Статья 3. Открытие банковского счета

3.1. В случае удовлетворения заявки клиента Банк открывает клиенту банковский счет (далее - счет), осуществляет операции на счете клиента и оказывает ему банковские услуги в соответствии с действующим законодательством Грузии, внутренними нормативными документами (в том числе правилами и условиями оказания услуг с использованием пластиковых карт/платежных инструментов и других внутренних документов), тарифами Банка, настоящим Генеральным договором.

3.2. Для открытия счета клиент должен представить в Банк документы, перечень которых определен уполномоченными органами Грузии и внутренними нормативно-правовыми актами Банка.

3.3. Информация об открытии счета предоставляется клиенту в установленной Банком форме, в том числе посредством системы Интернет-банка, в случае если клиент пользуется такими услугами Банка.

3.4. В целях предотвращения неясностей в дальнейшем, в случае использования клиентом услуг системы Интернет-банка, клиенту может быть открыт банковский счет путем представления Банку заявления в электронной форме, и

ბანკის მიერ ინტერნეტ-ბანკის სისტემით დაკმაყოფილების გზით, რა დროსაც ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ყალიბდება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების მიხედვით.

3.5. რეზიდენტი პირის პირველადი რეგისტრაცია ბანკის კლიენტად და ანგარიშის გახსნა შესაძლებელია ონბორდინგით, ელექტრონული იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის მეთოდით, რომლის ფარგლებშიც ბანკი ამუშავებს კლიენტის პერსონალურ მონაცემებს (მათ შორის ბიომეტრიულ ფოტოს).

3.6 კლიენტისთვის საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით ბანკი ამუშავებს კლიენტის პერსონალურ მონაცემებს.

3.7 კონფიდენციალურობის შეტყობინება განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე www.halykbank.ge

удовлетворения Банком этого заявления посредством системы Интернет-банка, при этом договорные отношения между Банком и клиентом формируются согласно соответствующим условиям, предусмотренным настоящим Генеральным договором.

3.5. Первичная регистрация лица резидента в качестве клиента Банка и открытие счета возможно онбордингом, методом электронной идентификации/верификации, в рамках которого Банк обрабатывает персональные данные клиента (включая биометрическую фотографию).

3.6 Банк обрабатывает персональные данные клиента в целях предоставления клиенту банковских услуг.

3.7 Уведомление о конфиденциальности размещено на веб-странице Банка www.halykbank.ge.

მუხლი 4. საბანკო ანგარიშის წარმოება

4.1. ბანკის მიერ ანგარიშის წარმოება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. ბანკი ახორციელებს ქვემოთ მითითებულ ოპერაციებს ანგარიშზე და უწევს ამ ოპერაციებთან დაკავშირებულ შემდეგ საბანკო მომსახურებას:

4.2.1. ანგარიშზე რიცხავს როგორც კლიენტის, ისე სხვა პირის მიერ ბანკის სალაროში შემოტანილ თანხას, ასევე ანგარიშიდან გასცემს კლიენტზე ნაღდ თანხას;

4.2.2. ანგარიშზე რიცხავს კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი მისი სხვა ანგარიშებიდან, ასევე სხვა პირების მიერ კლიენტის სასარგებლოდ გადმორიცხულ თანხას;

4.2.3. კლიენტის საგადახდო დავალებების მიხედვით ანგარიშიდან გადარიცხავს თანხას კლიენტის ანგარიშებზე რომლებიც გახსნილია ბანკში და სხვა ბანკებში, ასევე მითითებული მესამე პირების სასარგებლოდ;

4.2.4. კლიენტის განცხადებების მიხედვით ახორციელებს ვალუტის კონვერტაციას;

4.2.5. კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, ბანკი საოპერაციო დღის განმავლობაში გასცემს ანგარიშის ამონაწერს, ცნობას და სხვა სახის დოკუმენტებს.

4.3. ბანკი, კლიენტის ანგარიშზე ყველა სახის ოპერაციას ახორციელებს ანგარიშზე არსებული თანხის ფარგლებში; ოვერდრაფტი გაიცემა, მხოლოდ კლიენტსა და ბანკს შორის წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით დადებული შეთანხმების საფუძველზე.

Статья 4. Ведение банковского счета

4.1. Ведение Банком счета осуществляется в соответствии с действующим законодательством Грузии.

4.2. Банк осуществляет указанные ниже операции на счете и оказывает связанные с этими операциями следующие банковские услуги:

4.2.1. перечисляет на счет суммы, внесенные в кассу Банка, как клиентом, так и другими лицами, а также выдает клиенту наличные средства со счета

4.2.2. перечисляет на счет суммы с других счетов клиента, открытых им в Банке, а также суммы, перечисленные клиенту другими лицами;

4.2.3. по платежным поручениям клиента перечисляет со счета суммы на счета клиента, открытые в Банке и других банках, а также на указанные счета других лиц;

4.2.4. осуществляет конвертацию валюты согласно заявлениям клиента;

4.2.5. в соответствии с требованием клиента, Банк в течение операционного дня выдает выписки со счета, справки и другого вида документы о счете.

4.3. Банк осуществляет любого вида операции на счете клиента в пределах суммы, имеющейся на счете; овердрафт выдается только на основании соглашения, заключенного между клиентом и Банком в письменной и/или электронной форме.

4.4. ყველა სახის ოპერაციის განხორციელება ანგარიშზე სხვა პირების მეშვეობით შესაძლებელია, კლიენტის მიერ გაცემული სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის და სხვა, კანონმდებლობით განსაზღვრული, დოკუმენტის საფუძველზე. შემოსავლის ოპერაციების განხორციელება, მათ შორის სხვა პირების მიერ შესაძლებელია მინდობილობის წარმოდგენის გარეშე.

4.5. კლიენტის ანგარიშიდან თანხის ამოღება მისი თანხმობის გარეშე, შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში. ოპერაციების შეჩერება კლიენტის ანგარიშზე და კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხის დაყადაღება, ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი სახით გაფორმებული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების საფუძველზე და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი არ აგებს პასუხს ასეთ შემთხვევებში მიყენებულ ზიანზე;

4.6. კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხის ნაშთზე საპროცენტო სარგებელის დარიცხვა არ ხორციელდება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ გენერალური ხელშეკრულებითა და დაკავშირებული გარიგებებით.

4.7. ბანკი ახდევინებს კლიენტს მომსახურების საკომისიოს საბანკო ანგარიშზე განხორციელებულ ოპერაციებზე და გაწეულ მომსახურებაზე ბანკის ტარიფების შესაბამისად. ბანკი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები მოქმედ ტარიფებში, ცალმხრივად, კლიენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ასეთი ცვლილებების ამოქმედებამდე ერთი თვით ადრე ინფორმაცია მომსახურების ტარიფებში ცვლილების შესახებ განთავსებული იქნება ბანკის ფილიალებში (საოპერაციო დარბაზებში) ან ბანკის ვებგვერდზე www.halykbank.ge.

4.8. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კლიენტის ანგარიშიდან თანხის უაქცეპტო ჩამოწერა კლიენტის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის ფაქტის დადგენის, ასევე, ბანკთაშორის არსებულ პრაქტიკაში გამოვლენილი ფროდის ფაქტის შემთხვევაში.

4.9. კლიენტი კისრულობს და ადასტურებს თავის უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას, მასზედ რომ ეროვნულ ან/და უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანგარიშებიდან/ანგარიშებზე არ განახორციელოს მის ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული გასავლის/შემოსავლის ოპერაციები, ასევე გამორიცხოს ამგვარი ოპერაციების განხორციელება მის ანგარიშზე/ანგარიშებიდან სხვა პირების მიერ, ბანკში საგადასახდო/სამეწარმეო სტატუსის შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე.

4.10. ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს გადახდის, მათ

4.4. Осуществление любого вида операции на счете возможно посредством других лиц, на основании выданной клиентом доверенности, заверенной в нотариальном порядке, и другого документа, определенного законодательством. Осуществление доходных операций, в том числе другими лицами, возможно без представления доверенности.

4.5. Снятие суммы со счета клиента без его согласия допускается только в случае, прямо установленном действующим законодательством Грузии. Приостановление операций на счете клиента и наложение ареста на сумму, имеющуюся на счете клиента, осуществляется только на основании решений, оформленных в соответствующем виде и представленных уполномоченными органами, и в соответствии с действующим законодательством Грузии. Банк не несет ответственность за ущерб, причиненный в таких случаях.

4.6. Начисление процентного вознаграждения на имеющийся на счете остаток суммы не осуществляется, если иное не определено настоящим Генеральным договором и связанными с ним сделками.

4.7. Банк взискивает с клиента комиссионные за оказанные услуги по операциям, осуществленным на банковском счете, а также за оказанные услуги в соответствии с тарифами Банка. Банк вправе вносить изменения в действующие тарифы, в одностороннем порядке, без предварительного согласования с клиентом. Информация об изменениях в тарифах на услуги будет размещена в филиалах (операционных залах) за один месяц до введения в действие таких изменений или на веб-странице Банка: www.halykbank.ge.

4.8. Стороны договорились, что Банк вправе осуществить безакцептное списание сумм со счета клиента, в случае установления факта ошибочно зачисленной суммы на счет клиента, а также факта фрода, выявленного исходя из существующей межбанковской практики.

4.9. Клиент берет на себя и подтверждает свое безусловное и безотзывное обязательство, что он не будет осуществлять со счетов/на счетах, открытых в национальной и/или иностранной валюте, расходные/доходные операции, связанные с его индивидуальной предпринимательской деятельностью, а также исключит осуществление таких операций на его счетах/с его счетов другими лицами, без представления в Банк информации о платежном/предпринимательском статусе и соответствующей документации.

4.10. Банк вправе приостановить выполнение

შორის ჩარიცხვის ოპერაციის შესრულება, თუ ბანკის შეფასებით ოპერაცია მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ან/და ტერორიზმსა და სხვა საერთაშორისო დანაშაულებში ბრალდებულ პირთა დაფინანსებას ან ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4.11. კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის ასახვას ბანკი უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

4.12. ბანკი უფლებამოსილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის შემოწმების მიზნით მოთხოვოს კლიენტს დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, მიმდინარე ოპერაციასთან დაკავშირებით.

4.13. კლიენტის ანგარიშზე განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესახებ სრული ინფორმაცია კლიენტისათვის ხელმისაწვდომია ბანკის ფილიალებში (ან/და ინტერნეტ-ბანკის სისტემიდან) ანგარიშიდან ამონაწერის ან/და საგადახდო საბუთის ასლის მიწოდებით ან ცნობის სახით.

4.14. ბანკი უფლებამოსილია დამოუკიდებლად და ცალმხრივ რეჟიმში დაადგინოს, მათ შორის შეცვალოს საბანკო ანგარიშის წარმოების წესები და პირობები (მათ შორის ტარიფები), რომლის თაობაზე კლიენტს ეცნობება ბანკის ვებ-გვერდზე (www.halykbank.ge) გამოქვეყნების გზით ან/და ბანკში დაფიქსირებულ კომუნიკაციის ერთ-ერთი რომელიმე საშუალების გამოყენებით ცვლილებების ამოქმედებამდე ერთი თვით ადრე.

მუხლი 5. საბანკო ანგარიშის წარმოებასთან დაკავშირებით მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. ბანკი იძლევა გარანტიას კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციების გაუხმაურებლობის შესახებ. კლიენტის წერილობითი თანხმობის გარეშე ბანკის მიერ იმ ცნობების შეთავაზება მესამე პირთათვის, რომელთაც კავშირი აქვთ ანგარიშთან და მასზე განხორციელებულ ოპერაციებთან, ხორციელდება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და შემთხვევებში, შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე.

5.2. ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კლიენტის მითითებების შესრულებაზე, თუ ამგვარი მითითება და შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტები ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

5.3. ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო ოპერაციასთან და მასში მონაწილე პირებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან/და

ოპერაციის по выплате, в том числе зачислению, если согласно оценке Банка, операция ставит своей целью легализацию незаконных доходов, финансирование лиц, обвиняемых в совершении противозаконных действий или/и терроризма и других международных преступлений, или противоречит требованиям, установленным законодательством.

4.11. Банк обеспечивает отражение суммы, зачисленной на счет клиента, в предусмотренный законодательством Грузии срок.

4.12. Банк вправе с целью проверки соблюдения требований действующего в Грузии законодательства потребовать у клиента представления дополнительной информации и документов в связи с текущей операцией.

4.13. Полная информация об операциях по выплате, осуществленных на счете клиента, доступна клиенту посредством предоставления в филиалах Банка (и/или систем Интернет-банка) выписки со счета или/и копии платежного документа или в виде справки.

4.14. Банк вправе независимо и в одностороннем порядке установить, в том числе изменить правила и условия ведения банковского счета (в том числе тарифы), о которых клиенту сообщается путем опубликования на веб-странице Банка (www.halykbank.ge) и/или использования одного из каких-либо средств коммуникации, зафиксированных в Банке за один месяц до публикации изменений.

Статья 5. Права-обязанности Сторон в связи с ведением банковского счета

5.1. Банк гарантирует неразглашение информации об осуществленных клиентом операциях. Без письменного согласия клиента, предложение Банком третьим лицам сведений, связанных со счетом и проведенными на нем операциями, осуществляется только в порядке и случаях, предусмотренных законодательством Грузии, на основании соответствующих документов.

5.2. Банк вправе отказаться от выполнения указаний клиента, если такие указания и, соответственно представленные документы противоречат требованиям действующего законодательства Грузии.

5.3. Банк вправе потребовать представления любого вида информации или/и документов, связанных с банковскими операциями и участвующими в них

დოკუმენტები. მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოდგენილობის შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას არ შეასრულოს კლიენტის დავალება.

5.4. ბანკი უფლებამოსილია უაქცეპტოდ კლიენტის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოწეროს ანგარიშიდან, ასევე კლიენტის სხვა ანგარიშებიდან იმ საკომისიო სარგებლის თანხები, რაც ეკუთვნის ბანკს, ასევე კლიენტის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხები. კლიენტი აძლევს ბანკს უპირობო და უდავო უფლებას თანხების უაქცეპტოდ ჩამოსაწერად წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და პირობებით, კლიენტის მხრიდან ბანკის საგადახდო დავალებების, ასევე ანგარიშის პირდაპირი დებეტირების ოპერაციებითა და კლიენტის სხვა საბანკო ანგარიშებიდან დამატებითი აქცეპტის გარეშე.

5.5. ბანკი უფლებამოსილია უაქცეპტოდ ჩამოაჭრას კლიენტს ანგარიშიდან დამატებითი საკომისიო რომელიც გამოწვეულია გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილე მიმღები/შუამავალი ბანკის ნებისმიერი ქმედებით (კვლევა, დაზუსტება და სხვა).

5.6. კლიენტი ვალდებულია მისცეს ბანკს მითითებები ანგარიშზე იმ ოპერაციების განხორციელების შესახებ, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, იმ დოკუმენტების წარდგენით, რაც გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი წესით.

5.7. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ ანგარიშიდან 50000 აშშ დოლარის ექვივალენტზე მეტი ნაღდი ფულის გატანის შემთხვევაში, მოთხოვოს კლიენტს განაცხადის წარდგენა ერთი სამუშაო დღით ადრე.

5.8. კლიენტი ვალდებულია წერილობითი სახით ან მხარესთან შეთანხმებული კავშირის სხვა საშუალებებით დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს იმ რწმუნებულის შეცვლის, ან მისი უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, რომელსაც მინდობილობის საფუძველზე მიაწიჭა ანგარიშის განკარგვის უფლება და წარმოადგინოს დოკუმენტების ორიგინალები, რაც ადასტურებს ამგვარ ცვლილებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი არ აგებს პასუხს იმ პირთა ქმედებებზე, რომელთაც მინდობილობის საფუძველზე მინიჭებული აქვთ ანგარიშის განკარგვის უფლება.

5.9. კლიენტი ვალდებულია საიდენტიფიკაციო მონაცემების, საცხოვრებელი ადგილის, ტელეფონის ნომრების, ელ.ფოსტის და სხვა ცვლილებების შემთხვევაში, რაც მნიშვნელოვანია წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად, აცნობოს ბანკს სამი დღის განმავლობაში (ბანკის სამუშაო დღე) წერილობითი ან მხარესთან

лица. В случае непредставления затребованных документов Банк оставляет за собой право не выполнить поручение клиента.

5.4. Банк вправе в безакцептном порядке, без предварительного предупреждения клиента, на основании настоящего Договора списать со счета, а также с других счетов клиента полагаемые Банку суммы процентного вознаграждения, а также суммы, ошибочно зачисленные на счет клиента. Клиент предоставляет Банку безусловное и беспорное право на безакцептное списание сумм в порядке и на условиях, определенных настоящим Договором, без платежных поручений, представленных клиентом Банку, а также операций по прямому дебетованию счета и дополнительного акцепта других банковских счетов клиента.

5.5. Банк вправе в безакцептном порядке снять со счета клиента дополнительные комиссионные, которые вызваны любыми действиями банка получателя/посредника, участвующего в осуществлении операции по выплате (исследование, уточнение и пр.).

5.6. Клиент обязан давать Банку указания об осуществлении тех операций на счете, которые не противоречат действующему законодательству Грузии, посредством представления документов, оформленных в порядке, соответствующем законодательству Грузии и настоящему Договору.

5.7. Банк вправе в случае снятия клиентом со счета наличных денег в размере больше эквивалента 50000 долларов США, потребовать у клиента представления заявки за один рабочий день заранее.

5.8. Клиент обязан немедленно сообщить Банку письменно или посредством согласованных Сторонами других средств связи о замене того доверенного лица или досрочном прекращении его полномочий, которого он на основании доверенности наделил правом распоряжения счетом, и представить оригиналы документов, удостоверяющих такие изменения. В противном случае Банк не несет ответственность за действия лиц, которым на основании доверенности было присвоено право распоряжения счетом.

5.9. Клиент обязан в случае изменения идентификационных данных, места жительства номеров телефона, адреса электронной почты и других изменений, которые являются важными для выполнения условий настоящего Договора, письменно сообщить Банку об этом в течение трех дней (рабочих дней Банка) или посредством

შეთანხმებული სხვა კავშირის საშუალებებით და წარუდგინოს იმ დოკუმენტების ორიგინალები, რაც ადასტურებს ამგვარ ცვლილებებს.

5.10. კლიენტი კისრულობს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე აუნაზღაუროს ბანკს მომსახურება ბანკის ტარიფების შესაბამისად.

5.11. საკუთარ ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია აცნობოს ბანკს ამის შესახებ, არაუგვიანეს 3 (სამი) საოპერაციო დღის განმავლობაში.

5.12. კლიენტის მხრიდან ბანკის მიმართ ნებისმიერი დავალიანების არსებობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია უაქცეპტოდ ჩამოწეროს დავალიანების თანხა კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას.

5.13. ბანკი უფლებამოსილია დახუროს ანგარიში იმ შემთხვევაში თუ მასზე არ ირიცხება ნაშთი და არ განხორციელებულა ოპერაციები, ბოლო განხორციელებული ოპერაციის თარიღიდან მინიმუმ ორი წლის განმავლობაში (გასავლის ან შემოსავლის ოპერაციები, გადარიცხვები), ასევე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.14. ბანკი უფლებამოსილია ანგარიშზე არსებული სახსრები დროებით გამოიყენოს საკრედიტო რესურსის სახით, რომელზეც არ წარმოებს პროცენტის დარიცხვა, თუ მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

согласованных между Сторонами других средств связи и представить оригиналы документов, подтверждающих такие изменения.

5.10. На основании настоящего Договора клиент берет обязательство, оплатить Банку стоимость услуг в соответствии с тарифами Банка.

5.11. В случае обнаружения факта ошибочного зачисления суммы на собственный счет, Клиент обязан сообщить об этом Банку не позднее чем в течение 3 (три) операционных дней.

5.12. При наличии любой задолженности клиента в отношении Банка, Банк вправе списать сумму задолженности со счета (счетов) клиента в безакцептном порядке, на что клиент заявляет о своем безусловном согласии.

5.13. Банк вправе закрыть счета в том случае, если на нем не числится остаток и и как минимум в течение двух лет с даты последней осуществленной операции (расходные или доходные операции, перечисления), не осуществлены операции, а также в других случаях, предусмотренных действующим законодательством.

10.7 თუ კლიენტი დაუყოვნებლივ არ შეატყობინებს ბანკს მობილურის ნომრის ცვლილების თაობაზე, კლიენტის მონაცემებში არსებული მობილურის ნომრიდან გაგზავნილი/მიღებული დავალება ჩაითვლება კლიენტის მიერ გაგზავნილად/მიღებულად და ბანკი არ არის პასუხისმგებელი შესაძლო ზიანზე/ზარალზე.

заранее установленные Банком для целей идентификации клиента (в том числе СМС верификацию/кодовое слово/дополнительные параметры идентификации). Без прохождения процедуры идентификации клиент не сможет получить услугу по телефонной связи, описанную в пункте 10.2 настоящего Договора. Кроме того, при каждом телефонном соединении с Банком (каждый раз при получении услуг по телефонной связи) клиент должен пройти процедуру идентификации.

10.5 Банк имеет право отказать в обслуживании по телефону лицу, которое не прошло или не может пройти процедуру идентификации.

10.6 В случае изменения/аннулирования клиентом номера мобильного телефона, клиент несет ответственность за предоставление информации Банку.

10.7 Если клиент немедленно не уведомит Банк об изменении номера мобильного телефона, поручение, отправленное/полученное с указанного в данных клиента номера мобильного телефона, будет считаться отправленным/полученным клиентом, и Банк не несет ответственности за возможный ущерб/убытки.

თავი 4. ელექტრონული ხელმოწერის პირობები

მუხლი 11. დოკუმენტის SMS კოდით დადასტურების პირობები

11.1 ბანკი უფლებამოსილია კლიენტს შესთავაზოს ბანკის შიდა წესებითა და პროცედურების შესაბამისად განსაზღვრული ოპერაციის ან/და დავალების, კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ნაცვლად SMS კოდით დადასტურება.

11.2 საბანკო ოპერაციის ან/და დავალების SMS კოდით დადასტურების მიზნით, კლიენტის მიერ დასახელებულ და ბანკში წინასწარ განსაზღვრულ ძირითად მობილურ ნომერზე ბანკი აგზავნის: (ა) SMS კოდს; და (ბ) დასადასტურებელი ოპერაციის ან/და დავალების შინაარს/დეტალურ მონაცემებს, რომელსაც ბანკი განსაზღვრავს შესასრულებელი საბანკო ოპერაციის ან/და დავალების შესაბამისად, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული ფორმით.

11.3 კლიენტი, ბანკისგან მიღებული SMS კოდის ბანკის თანამშრომლისთვის მიწოდებით (SMS კოდს კლიენტი ბანკის თანამშრომელს აწვდის ზეპირსიტყვიერად), ადასტურებს, რომ ის სრულად გაეცნო შესაბამისი SMS კოდით დასადასტურებელ საბანკო ოპერაციის ან/და დავალების შინაარსს, ეთანხმება მასში არსებული პირობების/ინფორმაციის სისწორეს და სურს აღნიშნული SMS კოდით დასადასტურებელი საბანკო ოპერაციის ან/და დავალების დადასტურება.

Глава 4. Условия электронной подписи

Статья 11. Условия подтверждения документа по SMS -коду

11.1 Банк имеет право предложить клиенту подтверждение операций и/или поручений, определенных в соответствии с внутренними правилами и процедурами Банка, посредством SMS -кода вместо подписания клиентом физического документа.

11.2 В целях подтверждения банковской операции и/или поручения с помощью SMS-кода Банк направляет на указанный клиентом и предварительно определенный Банком основной номер мобильного телефона: (а) SMS-код; и (б) содержание/детальные данные подлежащей подтверждению операции и/или поручения, которые Банк определяет в соответствии с подлежащей исполнению банковской операцией и/или поручением, в форме, определяемой по его собственному усмотрению.

11.3 Предоставляя сотруднику Банка SMS-код, полученный от Банка (клиент сообщает SMS-код сотруднику Банка устно), клиент подтверждает, что он полностью ознакомился с содержанием банковской операции и/или поручения, подлежащего подтверждению соответствующим SMS-кодом, согласен с достоверностью содержащихся в них условий/информации и желает подтвердить банковскую операцию и/или

11.4 კლიენტისთვის ცნობილია და ადასტურებს, რომ SMS კოდით საბანკო ოპერაციის ან/და დავალების დადასტურებას აქვს იგივე სამართლებრივი ძალა, რაც კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე შესრულებულ მატერიალურ ხელმოწერას.

11.5 კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი კლიენტს მიაწვდის შესაბამისი SMS კოდით დადასტურებული საბანკო ოპერაციის ან/და დავალების დამადასტურებელი დოკუმენტის მატერიალურ ასლს.

11.6 ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა დადგეს კლიენტის მიერ ბანკისთვის არასწორად მითითებულ მობილურ ნომერზე SMS კოდის გაგზავნის შედეგად.

მუხლი 12. საკრედიტო ხელშეკრულების ელექტრონული ხელმოწერით დადასტურების პირობები

12.1. ბანკი უფლებამოსილია კლიენტს შესთავაზოს ბანკის შიდა წესებითა და პროცედურების შესაბამისად განსაზღვრული საკრედიტო ხელშეკრულებების მატერიალური ხელმოწერით გაფორმების ნაცვლად, ელექტრონული ხელმოწერით დადასტურება.

12.2 საკრედიტო ხელშეკრულების ელექტრონული ხელმოწერით დადასტურების მიზნით, კლიენტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ძირითად ელ. ფოსტაზე ეგზავნება ყველა ხელმოსაწერი დოკუმენტი და ძირითად მობილურის ნომერზე დამატებითი ავთენტიფიკაციის ერთჯერადი კოდი.

12.3 წინასწარ განსაზღვრულ ძირითად მობილურის ნომერზე მიღებული SMS კოდის გამოყენებით კლიენტისთვის ხელმისაწვდომი ხდება მასთან გაგზავნილი საკრედიტო ხელშეკრულებები, ხოლო ელექტრონული ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ ის სრულად გაეცნო, ელ. ფოსტაზე მიღებულ დოკუმენტებს, ეთანხმება მასში არსებულ პირობებს/ინფორმაციის სისწორეს.

12.4 ელექტრონულ დოკუმენტსა და ხელმოწერას მხარეთათვის აქვს მატერიალური დოკუმენტისა და შესაბამისად, მატერიალური ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

12.5 კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი კლიენტს მიაწვდის ელექტრონულად ხელმოწერილი ხელშეკრულების მატერიალურ ასლს.

12.6 ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა დადგეს კლიენტის მიერ ბანკისთვის არასწორად მითითებულ ელ.ფოსტაზე და მობილურ ნომერზე დოკუმენტების გაგზავნის შედეგად.

распоряжение, подлежащее подтверждению указанным SMS -кодом.

11.4 Клиент осознает и подтверждает, что подтверждение банковской операции и/или распоряжения посредством SMS -кода имеет такую же юридическую силу, как и физическая подпись, выполненная клиентом на физическом документе.

11.5 Банк, по запросу клиента предоставляет ему копию документа на материальном носителе, подтверждающего совершение банковской операции и/или поручения, подтвержденного соответствующим SMS -кодом.

11.6 Банк не несет ответственности за любой ущерб/убытки, которые могут возникнуть в результате отправки SMS-кода на неправильный номер мобильного телефона, предоставленный клиентом Банку.

Статья 12. Условия подтверждения кредитного договора электронной подписью

12.1. Банк вправе предложить Клиенту подтверждение кредитных договоров электронной подписью вместо подписания их собственноручно в порядке, установленном внутренними правилами и процедурами Банка.

12.2 Для подтверждения кредитного договора электронной подписью все подписанные документы отправляются на основной адрес электронной почты, указанный клиентом заранее, а также на основной номер мобильного телефона отправляется дополнительный одноразовый код аутентификации.

12.3 Используя SMS-код, полученный на заранее указанный основной номер мобильного телефона, клиенту становятся доступны отправленные ему кредитные договоры, а посредством электронной подписи клиент подтверждает, что он полностью ознакомился с полученными по электронной почте документами, и согласен с содержащимися в них условиями/достоверностью информации.

12.4 Электронный документ и подпись имеют для сторон такую же юридическую силу, как и физический документ и, соответственно, физическая подпись.

12.5 По запросу Клиента Банк предоставит Клиенту физическую копию Соглашения, подписанного в электронном виде.

12.6 Банк не несет ответственности за любой ущерб/убытки, которые могут возникнуть в результате отправки Клиентом документов на неверный адрес электронной почты и номер мобильного телефона, предоставленные Банку.

13. დეპოზიტის / ანაზრის გახსნა

13.1. კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკი კლიენტის განცხადებაში გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისად გაუხსნის კლიენტს ანაზრს / დეპოზიტს.

13.2. კლიენტს ანაზრის/დეპოზიტის გახსნა, შესაბამისი განცხადების წარმოდგენით, შეუძლია ბანკის მიერ ანაზრის/დეპოზიტის გახსნასთან დაკავშირებით დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც კლიენტისათვის ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდისა და ინტერნეტ-ბანკის სისტემის (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში) მეშვეობით.

13.3. ანაზრის/დეპოზიტის გახსნასთან დაკავშირებით კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა წინამდებარე გენერალურ ხელშეკრულებასთან ერთად რეგულირდება შესაბამისი დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობებით, რომელიც კლიენტისათვის ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდისა და ინტერნეტ-ბანკის სისტემის (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში) მეშვეობით.

13.4. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში ანაზარი/დეპოზიტი კლიენტს შეიძლება გაეხსნას, ბანკისათვის ელექტრონულ ფორმაში განცხადების წარდგენისა და ამ განცხადების ბანკის მიერ ინტერნეტ-ბანკის სისტემით დაკმაყოფილების გზით, რა დროსაც ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ყალიბდება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებითა და დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების მიხედვით.

თავი 6. საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურება

მუხლი 14. საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურება

14.1. კლიენტისათვის წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით ხელმისაწვდომი და დასაშვები საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურების პროდუქტებს, სახეებს, პირობებსა და ფორმებს დამოუკიდებლად და ცალმხრივ რეჟიმში განსაზღვრავს ბანკი, რომელიც კლიენტის მიერ ამ მომსახურებით სარგებლობის საკითხს იხილავს და წყვეტს კლიენტის განცხადების საფუძველზე.

14.2. საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა წინამდებარე გენერალურ ხელშეკრულებასთან ერთად

13. Открытие депозита / вклада

13.1. В случае удовлетворения заявки клиента, Банк открывает клиенту вклад/депозит в соответствии с данными, предусмотренными в заявке клиента.

13.2. Клиент может открыть вклад/депозит путем представления соответствующей заявки в соответствии с условиями, установленными Банком в связи с открытием вклада/депозита, которые доступны клиенту посредством веб-страницы Банка и системы Интернет-банка (в случае пользования такими услугами).

13.3. В случае удовлетворения заявки клиента в связи с открытием вклада/депозита договорные отношения между Банком и клиентом, наряду, с настоящим Генеральным договором регулируются условиями, предусмотренными соответствующей связанной с ним сделкой(ами) которая доступна клиенту посредством веб-страницы Банка и системы Интернет-банка (в случае пользования такими услугами).

13.4. В дальнейшем с целью предотвращения неясностей, в случае пользования услугами Интернет-банка, вклад/депозит может быть открыт клиенту, путем представления Банку заявки в электронной форме и удовлетворения Банком этой заявки посредством системы Интернет-банка, при этом между Банком и клиентом формируются договорные отношения согласно соответствующим условиям, предусмотренным настоящим Генеральным договором и связанной с ним сделкой(ами).

Глава 6. Оказание услуг с использованием платежных инструментов

Статья 14. Оказание услуг с использованием платежных инструментов

14.1. Банк независимо и в одностороннем порядке, согласно настоящему Генеральному Договору, определяет продукты, виды, условия и формы оказания клиенту услуг, доступных и допустимых посредством использования платежных инструментов, которые предоставляются клиенту, и Банк

14.2. принимает решение об их предоставлении на основании заявки клиента. 11.2. В случае удовлетворения заявки клиента в связи с получением услуг с использованием платежных инструментов, договорные отношения между

რეგულირდება შესაბამისი დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობებით, რომელიც კლიენტისათვის ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდისა და ინტერნეტ-ბანკის სისტემის (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში) მეშვეობით.

14.3. საგადახდო ინსტრუმენტის მოქმედების ვადა, მის შესაბამის საბარათე ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებელი და მომსახურების პირობები განისაზღვრება ბანკის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული და მოქმედი სტანდარტული მომსახურების პირობებით, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე: www.halykbank.ge

14.4. საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაანგარიშება წარმოებს ანგარიშზე თანხის მიღების მომდევნო დღიდან, ხელშეკრულების მოქმედების დასრულების დღის ჩათვლით. საპროცენტო სარგებლის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება კალენდარული დღეების ზუსტი რაოდენობა, ამასთან, წელიწადი იანგარიშება 365 დღით. საბარათე ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდა წარმოებს შესაბამის ვალუტაში, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ყოველი თვის დასრულების შემდეგ, შესაბამის საბარათე ანგარიშებზე ჩარიცხვის გზით.

14.5. ბანკს უფლება აქვს შეცვალოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი ცალმხრივად საპროცენტო სარგებლის განაკვეთის ცვლილების თაობაზე ბანკის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან. ასეთ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ოცდაათი დღით ადრე გაუზიაროს კლიენტს წერილობითი ან ელექტრონული შეტყობინება საბარათე ანგარიშზე არსებულ ნაშთზე საპროცენტო სარგებლის განაკვეთის ცვლილების შესახებ. წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც საპროცენტო სარგებლის ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ.

14.6. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურება კლიენტს შეიძლება მიეწოდოს, ბანკისათვის ელექტრონულ ფორმაში განცხადების წარდგენისა და ამ განცხადების ბანკის მიერ ინტერნეტ-ბანკის სისტემით დაკმაყოფილების გზით, რა დროსაც ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ყალიბდება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებითა და დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების მიხედვით.

14.7. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების

Банком и клиентом вместе с настоящим Генеральным договором регулируются условиями, предусмотренными связанной с ним соответствующей сделки(ок), которые доступны клиенту посредством веб-страницы Банка и Интернет-банка (в случае пользования этими услугами).

14.3. Срок действия платежного инструмента, годовое процентное вознаграждение, начисляемое на остаток, существующий на соответствующей карточном счете и условия оказания услуг определяются утвержденными Генеральным директором Банка и действующими стандартными условиями оказания услуг, которые размещены на веб-странице Банка: www.halykbank.ge

14.4. Расчет процентного вознаграждения (при наличии таковой) производится со дня, следующего за днем поступления суммы на счет, включая время завершения действия договора. При расчете процентного вознаграждения принимается во внимание точное количество календарных дней, при этом год равен 365 дням. Выплата процентного вознаграждения, начисленной на остаток, существующий на карточном счете, осуществляется в соответствующей валюте, путем зачисления на соответствующий карточный счет после завершения каждого месяца после вступления договора в силу.

14.5. Банк вправе изменить ставку процентного вознаграждения в одностороннем порядке со дня вступления в силу решения Банка об изменении ставки процентного вознаграждения. В этом случае Банк обязан за тридцать дней до вступления решения в силу послать клиенту письменное или электронное сообщение об изменении ставки процентного вознаграждения на остаток, существующий на карточном счете. Обязательство предварительного уведомления не распространяется на случай, когда изменение процентного вознаграждения осуществляется в пользу клиента.

14.6. С целью предотвращения неясностей в дальнейшем, в случае пользования услугами Интернет-банка услуги с использованием платежных инструментов могут предоставляться клиенту путем представления им Банку заявки в электронной форме и удовлетворения Банком этой заявки посредством системы Интернет-банка, при этом договорные отношения между Банком и клиентом формируются согласно соответствующим условиям, предусмотренным настоящим Генеральным договором и связанной с ним сделки(ок).

14.7. С целью дальнейшего предотвращения

მიზნით, საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურების პროდუქტების, მისი სახეების, პირობებისა და ფორმების ბანკის მიერ განსაზღვრა არ გულისხმობს დაპირებასა და არ წარმოშობს ბანკის ვალდებულებას კლიენტისათვის საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურების გაწევაზე.

თავი 7. საკრედიტო მომსახურება

მუხლი 15. საკრედიტო მომსახურება

15.1. კლიენტისათვის წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით ხელმისაწვდომი და დასაშვები საკრედიტო მომსახურების პროდუქტებს, სახეებს, პირობებსა და ფორმებს დამოუკიდებლად და ცალმხრივ რეჟიმში განსაზღვრავს ბანკი, რომელიც კლიენტის მიერ ამ მომსახურებით სარგებლობის საკითხს იხილავს და წყვეტს კლიენტის განცხადების საფუძველზე.

15.2. საკრედიტო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა წინამდებარე გენერალურ ხელშეკრულებასთან ერთად რეგულირდება შესაბამისი დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობებით, რომელიც კლიენტისათვის ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდისა და ინტერნეტ ბანკის სისტემის (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში) მეშვეობით.

15.3. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში საკრედიტო მომსახურება კლიენტს შეიძლება მიეწოდოს, ბანკისათვის ელექტრონულ ფორმაში განცხადების წარდგენისა და ამ განცხადების ბანკის მიერ ინტერნეტ-ბანკის სისტემით დაკმაყოფილების გზით, რა დროსაც ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ყალიბდება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებითა და დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების მიხედვით.

15.4. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, საკრედიტო მომსახურების პროდუქტების, მისი სახეების, პირობებისა და ფორმების ბანკის მიერ განსაზღვრა არ გულისხმობს დაპირებას და არ წარმოშობს ბანკის ვალდებულებას კლიენტისათვის საკრედიტო მომსახურების გაწევაზე.

თავი 8. ზოგადი დებულებები

მუხლი 16. ცვლილებები და დამატებები გენერალურ ხელშეკრულებასა და მასთან დაკავშირებულ გარიგებებში, ასევე ტარიფებსა და სხვა წესებში.

16.1. მხარეები საგანგებოდ თანხმდებიან, რომ ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივ რეჟიმში შეიტანოს ცვლილება/დამატება წინამდებარე

неясностей, определение Банком продуктов, их видов, условий и форм, посредством оказания услуг с использованием платежных инструментов не подразумевает обязательства и не влечет обязательства Банка в отношении оказания услуг посредством платежных инструментов.

Глава 7. Кредитные услуги

Статья 15. Кредитные услуги

15.1. Банк независимо и в одностороннем порядке определяет продукты, виды, условия и формы оказания кредитных услуг, доступных и допустимых для клиента согласно настоящему Генеральному договору, рассматривает и разрешает вопрос пользования клиентом этими услугами на основании заявки клиента.

15.2. В случае удовлетворения заявки клиента в связи с получением кредитных услуг, договорные отношения между Банком и клиентом вместе с настоящим Генеральным договором регулируются условиями, предусмотренными соответствующей связанной с ним сделкой(ами), которые доступны клиенту на веб-странице Банка и посредством системы Интернет-банка (в случае пользования такими услугами).

15.3. В целях предотвращения неясностей в дальнейшем, в случае пользования услугами системы Интернет-банка кредитные услуги могут предоставляться клиенту путем представления Банку заявки в электронной форме, и удовлетворения этой заявки Банком посредством системы Интернет-банка, при этом договорные отношения между Банком и клиентом формируются согласно соответствующим условиям, предусмотренным настоящим Генеральным договором и связанной с ним сделки(ок)

15.4. С целью дальнейшего предотвращения неясностей, определение Банком продуктов кредитного обслуживания, их видов, условий и форм, не подразумевает обязательства и не влечет обязательства Банка в отношении оказания клиенту кредитных услуг.

Глава 8. Общие положения

Статья 16. Изменения и дополнения к Генеральному договору и связанным с ним сделкам, а также к тарифам и другим правилам

16.1. Стороны особо договариваются, что Банк вправе в любое время в одностороннем порядке внести изменения/дополнения в настоящий

გენერალურ ხელშეკრულებაში, მის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სახელშეკრულებო პირობებში, დაკავშირებულ გარიგებებში, გამოქვეყნებულ ტარიფებში, წესებში და სხვა პირობებში, რომლის თაობაზე კლიენტს ეცნობება ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით ან/და ბანკში დაფიქსირებულ კლიენტის რომელიმე ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით.

16.2. ცვლილებები, რომელიც არსებითად ცვლის ბანკსა და კლიენტს შორის ჩამოყალიბებულ სახელშეკრულებო ნებისმიერ პირობას, რომლის ცალმხრივად და კლიენტისაგან დამატებითი თანხმობის გარეშე შეცვლის უფლება ბანკს არ გააჩნია, ძალაში შედის და კლიენტისათვის შესასრულებლად სავალდებულო ხდება ამ ცვლილებების თაობაზე კლიენტისათვის შესაბამისი შეტყობინებიდან (გამოქვეყნებიდან) 30 კალენდარული დღის გასვლის შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ ვადის განმავლობაში კლიენტი წერილობით უარს არ განაცხადებს აღნიშნულ ცვლილებაზე (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბანკს წარმოეშება უფლება შეწყვიტოს კლიენტთან შესაბამისი ის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელშიც ცვლილებების ინიცირებას კლიენტმა არ დაუჭირა მხარი).

მუხლი 17. პერსონალური მონაცემების მოპოვება / დამუშავება

17.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში მუდმივად აწარმოოს კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათი მოპოვება და შენახვა ნებისმიერი წყაროდან, მათ შორის სახელმწიფო და არასახელმწიფო, კერძო დაწესებულებიდან.

17.2. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების დადებით კლიენტი ადასტურებს, რომ ინფორმირებულია მასზე, რომ:

17.2.1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრონციპებისა და სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დაამუშაოს/მოიპოვოს კლიენტის პერსონალური მონაცემები, რომელიც კონკრეტული, კანონიერი მიზნის მიღწევის პროპორციულ და აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს. მათ შორის, კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია მოახდინოს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ბაზის საშუალებით.

17.2.2. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, კლიენტის თანხმობის საფუძველზე, როგორც მომავალი მსესხებლის/თანამსესხებლის/თავდების/უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნით, საკრედიტო ბიუროს - სს „კრედიტინფო

Генеральный договор, в договорные условия, сформированные на его основании, в связанные с ним сделки, опубликованные тарифы, правила и другие условия, о которых клиенту сообщается путем их опубликования на веб-странице Банка и/или посредством одного из каких-либо коммуникационных средств клиента, зафиксированных в Банке.

16.2. Изменения, которые существенно изменяют любое договорное условие, сговоренное между Банком и клиентом, которое Банк не вправе изменить в одностороннем порядке и без дополнительного согласия клиента, вступает в силу и становится обязательным для исполнения клиентом по истечении 30 календарных дней с момента соответствующего уведомления клиента (публикации) об изменениях, кроме того случая, если в течение этого срока клиент письменно не откажется от указанных изменений (в этом случае у Банка возникает право прекратить с клиентом соответствующие договорные отношения, инициирование изменений которых не поддержал клиент).

Статья 17. Сбор / обработка персональных данных

17.1. Стороны договариваются, что Банк вправе постоянно осуществлять обработку персональных данных клиента, их получение из любого источника и хранение, в том числе их получение от государственных и негосударственных частных учреждений в порядке, предусмотренном законодательством.

17.2. Заключение настоящего Генерального договора клиент подтверждает, что он/она проинформирован(а) о том, что:

17.2.1 В случае наличия принципов и правовых оснований, предусмотренных Законом Грузии «О защите персональных данных», Банк уполномочен обрабатывать/получать персональные данные Клиента, что является соразмерным и необходимым средством достижения конкретной законной цели. В том числе идентификация и верификация клиента через базу данных ЮЛПП «Агентство развития государственных услуг».

17.2.2. Кроме того, в соответствии с правилами, установленными Национальным банком Грузии, на основании согласия клиента Банк получает защищенные персональные и коммерческие данные о клиенте из электронной базы данных кредитного бюро - АО «КредитИнфо Грузия», а также из других кредитных бюро, созданных и

საქართველოს”, აგრეთვე, სათანადოდ შექმნილი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი სხვა საკრედიტო ბიუროს / საფინანსო დაწესებულების მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან/მონაცემთა ბაზიდან ბანკი მოიპოვებს კლიენტის შესახებ დაცულ პერსონალურ და კომერციულ მონაცემებს, ბანკის მიერ საბანკო მომსახურების გაწევის მიზნის პროპორციული მოცულობით და კლიენტის თანხმობის შემთხვევაში, შეთავაზების განხორციელების მიზნით.

17.3. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების 17.2. პუნქტში მონაცემთა დამუშავების შესახებ წერილობით გამოხატულ თანხმობას გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

17.4 კონფიდენციალურობის შეტყობინება განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.halykbank.ge

მუხლი 18. მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება მოქმედებს კლიენტის მიერ მისი წერილობითი/ ელექტრონული ფორმით აღიარება/დადასტურების მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 19. დავების განხილვის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

19.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავას განიხილავს და გადაწყვეტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

19.2. წინამდებარე შეთანხმების მიმართ მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა, რა დროსაც დაუშვებელია უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენება.

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

20.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს ამავე ხელშეკრულების სხვა დებულებებისა და მის სრულ ბათილობას, თუ ბათილი დებულების მიუხედავად შესაძლებელია შეთანხმებული საგნის მიღწევა.

20.2. მხარეები თანხმდებიან, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს ქალაქის/მოზილური ტელეფონის ნომერ(ებ)ზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართ(ებ)ზე ან/და საფოსტო მისამართ(ებ)ზე ან/და ინტერნეტ-ბანკის სისტემით გამოავხაზნოს საბანკო პროდუქტის ან/და მომსახურების შესახებ შეთავაზება ან/და ნებისმიერი სახის საინფორმაციო/გამაფრთხილებელი შეტყობინება (ფოსტის, ელექტრონული ფოსტის,

действующих в установленном законодательством Грузии порядке / из электронной базы данных финансовых учреждений/ из базы данных, с целью анализа платежеспособности будущего заемщика/созаемщика/поручителя/залогодателя, в объеме, пропорциональном цели предоставления банком банковских услуг, а в случае согласия клиента - с целью реализации предложения.

17.3. Согласие об обработке данных, выраженное в письменном виде в пункте 17.2. настоящего Генерального договора, имеет юридическую силу равную документу, выполненному в письменной форме, распечатанному на бумажном носителе и подписанному клиентом.

17.4 Уведомление о конфиденциальности размещено на официальном сайте Банка: www.halykbank.ge

Статья 18. Срок действия

18.1. Настоящий Генеральный договор действует с момента его признания/подтверждения клиентом в письменной/электронной форме и действует на неопределенный срок.

Статья 19. Порядок рассмотрения споров и применимое право

19.1. Стороны договариваются, что спор, возникший исходя из настоящего Договора, рассматривается и разрешается коллегией по гражданским делам Тбилисского городского суда в соответствии с законодательством Грузии.

19.2. В отношении настоящего соглашения действует законодательство Грузии, при этом недопустимо применение права иностранного государства.

Статья 17. Заключительные положения

20.1. Недействительность какого-либо положения настоящего Генерального договора не влечет недействительности других положений Договора и его полную недействительность, если несмотря на недействительное положение возможно достижение предмета согласия.

20.2. Стороны договариваются, что клиент присваивает Банку право отсылки предложения о банковском продукте или/и банковских услугах по-городскому/мобильному номеру(ам) телефона или/и адресу(ам) электронной почты или/и почтовому адресу(ам) или/и посредством системы Интернет-банка или/и любого вида информационного/предупредительного уведомления (посредством почты, электронной

ინტერნეტ-ბანკის სისტემის, სატელეფონო ზარების, SMS შეტყობინების ან/და სხვა კომუნიკაციების საშუალებით)

20.3. მხარეები გარანტიას იძლევიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დადება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და მესამე პირებთან დადებულ გარიგებას, რომ ადგილი არ აქვს მოჩვენებითობას ან/და სხვა გარიგების დამალვას და რომ არ არსებობს რაიმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი დაბრკოლება, რამაც შეიძლება შეაფერხოს ან/და შეუძლებელი გახადოს წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელება.

20.4. მხარეები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლენითა და მასზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების გარეშე, რომელიმე მხარის მხრიდან სხვაგვარი შედეგების დაპირების გარეშე და ნებათათანხვედრით.

20.5. ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თითოეულმა მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს საკონტაქტო რეკვიზიტების ცვლილების შესახებ. აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში ძველ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება განიხილება მიღებულად, რომელსაც სდევს შესაბამისი სამართლებრივი შედეგები.

20.6. ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მასთან განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო საუბარი (მათ შორის მისი ნებისმიერი მოთხოვნა/განცხადება საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის, საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების ან/და ოპერაციის განხორციელების შესახებ) დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად).

20.7. წინამდებარე ხელშეკრულების დადებით ძალადაკარგულად ცხადდება იმავე საგანზე მხარეებს შორის ადრე წარმოებული ნებისმიერი მოლაპარაკება და მიღწეული/დადებული ყველა შეთანხმება, რაც არ იწვევს წარმოშობილი და შეუსრულებელი ვალდებულებების ანუღირება/ გაქარწყლებას.

20.8. კლიენტი უფლებამოსილია წარადგინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გაწეულ მომსახურებაზე პრეტენზიები ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვის-ცენტრში ან ბანკის (სათაო ოფისის) კანცელარიაში ზეპირი ან სტანდარტული წერილობითი ფორმით, აგრეთვე ინტერნეტ- ბანკის სისტემიდან შეტყობინებების გამოგზავნით (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში), წარდგენილი პრეტენზიის განხილვისა და წერილობითი პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) დღეს. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია

почты, системы Интернет-банка, телефонных звонков, SMS сообщений или/и других средств коммуникации).

20.3. Стороны гарантируют, что заключение настоящего Договора не противоречит законодательству Грузии и заключенным с третьими лицами сделкам, что не имело место сокрытие мнимой и/или иной сделки, и что не существует каких-либо фактических или правовых препятствий, которые могут препятствовать и/или сделать невозможным осуществление настоящего Договора.

20.4. Стороны особо отмечают, что настоящий Договор заключен на основании свободного волеизъявления Сторон, без противоправного воздействия на них, без обещания иных последствий какой-либо Стороной, и совпадения воли Сторон.

20.5. В течение действия настоящего Договора каждая Сторона должна уведомлять другую Сторону об изменении контактных реквизитов. В случае неисполнения указанного уведомления, отправленное по старому адресу, рассматривается как полученное, за чем следуют соответствующие правовые результаты.

20.6. Настоящим Договором клиент заявляет о согласии, что любой состоявшийся с ним телефонный разговор (в том числе любое его требование/заявление о регистрации получения банковской информации, внесении изменений в зарегистрированные данные, получении банковского (в том числе кредитного) продукта или/и осуществлении операции) был зафиксирован в электронной базе данных Банка, и такая запись при возникновении спора имела бы доказательную силу (была бы использована в качестве доказательства).

20.7. Посредством заключения настоящего Договора объявляются утратившими силу все ранее достигнутые/заключенные соглашения и любые, ранее проводимые между Сторонами переговоры, что не влечет аннулирования/прекращения возникших и невыполненных обязательств.

20.8. клиент вправе предъявить претензии в отношении услуг, оказанных согласно настоящему Договору в любой филиал/сервис-центр Банка или канцелярию (головного офиса) Банка в устной или стандартной письменной форме, а также посредством уведомлений системы Интернет-банка (в случае пользования такими услугами), максимальный срок рассмотрения и выдачи письменного ответа составляет 30 (тридцать) дней. Информация о процедуре рассмотрения претензий размещена на официальной веб-странице Банка: www.halykbank.ge.

განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე
www.halykbank.ge.